

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 455

ქ. ბათუმი, 31 იანვარი 2018 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განვითარების, მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, შესაბამისი სამსახურების მიზნებისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრა და ჩამოყალიბება, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან/და ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, შტატების გადაადგილება ან/და შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-104-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საჯარო მოხელეთა მოხილობის წესის“ მე-5, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაწყებულ იქნეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს 3 ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა;

ბ) მეორე ეტაპი - რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება;

გ) მესამე ეტაპი - რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მოხილობა.

3. დაიწყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

4. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს უზრუნველყოს რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ბრძანების ყველა საჯარო მოსამსახურისათვის გაცნობა (გაცნობის ხელმოწერით დადასტურება) და სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროსათვის“ მიწოდება.

5. რეორგანიზაციის დაგეგმვაზე პასუხისმგებელმა პირმა არაუგვიანეს 2018 წლის 5 თებერვლისა უზრუნველყოს:

ა) რეორგანიზაციისათვის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და წარმოდგენა;

ბ) რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც ასევე განისაზღვრება რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, ვიცე-მერის, მერის მოადგილის, მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსისა და მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსის მონაწილეობით) და სხვა გასატარებელი ღონისძიებები.

6. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (www.batumi.ge) გამოქვეყნება.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი